N 419 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

**„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/11/2013, 010240030.10.003.017464) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის:

1. პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისი;“.

2. მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისი:

თ.ა) კოორდინაციას უწევს თავდაცვის ატაშეების, სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების საქმიანობას;

თ.ბ) ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას;“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**